პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 135 (3112)

14 1966 წ. ივლისი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

# VIII მსოფლიო პირველობა

ENGLAND 1966 ფინალური VIII ტურნირი

## გუშინ ინგლისის სტადიონებზე

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი | საფრანგეთი — მექსიკა | 1:1 |
| ბირმინგემი | ესპანეთი — არგენტინა | 1:2 |
| მანჩესტერი | უნგრეთი — პორტუგალია | 1:3 |
| სანდერლენდი | ჩილი — იტალია | 0:2 |

### პირველი ჯგუფი

| | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | ქ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ურუგვაი | ● | 0:0 | | | | |
| 2 | ინგლისი | 0:0 | ● | | | | |
| 3 | საფრანგეთი | | | ● | 1:1 | | |
| 4 | მექსიკა | | | 1:1 | ● | | |

### მეორე ჯგუფი

| | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | ქ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შვეიცარია | ● | 0:5 | | | | |
| 2 | გფრ | 5:0 | ● | | | | |
| 3 | ესპანეთი | | | ● | 1:2 | | |
| 4 | არგენტინა | | | 2:1 | ● | | |

### მესამე ჯგუფი

| | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | ქ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრაზილია | ● | 2:0 | | | | |
| 2 | ბულგარეთი | 0:2 | ● | | | | |
| 3 | უნგრეთი | | | ● | 1:3 | | |
| 4 | პორტუგალია | | | 3:1 | ● | | |

### მეოთხე ჯგუფი

| | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | ქ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კსდრ | ● | 0:3 | | | | |
| 2 | სსრ კავშირი | 3:0 | ● | | | | |
| 3 | ჩილი | | | ● | 0:2 | | |
| 4 | იტალია | | | 2:0 | ● | | |

●

მოსკოვში მიმდინარე მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე რაპირისტ ქალთა ასპარეზობაში გაიმარჯვა მინსკელმა ტ. სამუსენკომ. მართალია, მან ფინალური ასპარეზობა მარცხით დაიწყო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ოთხი ბრძოლა მოიგო და პირველად გახდა ამ მაღალი წოდების მფლობელი.

* * *

სურათზე: ტ. სამუსენკო.

ფოტო ვ. გალაქტიონოვისა.

●



„ლელო" ინტერვიუ

# მზადების პროგრამით

მოსკოვში საწვრთნელ შეკრებაზე გამგზავრების წინ რედაქციას ესტუმრა სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრების მწვრთნელი გ. შარაშიძე და პასუხი გაგვცა რამდენიმე შეკითხვაზე. ვაქვეყნებთ ამ ინტერვიუს.

● *რა მიზნით მიემგზავრებით მოსკოვს?*

— როგორც ცნობილია, მომავალი წლის იანვარში სსრ კავშირის ნაკრები მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო პირველობაში, რომელიც შვეციაში გაიმართება. საჭიროა ამთავითვე დავიწყოთ მზადება ამ ასპარეზობისთვის. მრავალდღიანი ერთობლივი წვრთნის შემდეგ ჩვენი გუნდი გაემგზავრება პოლონეთს, სადაც ბალტიის ზღვის თასის გათამაშებაში გამოვა. ეს იქნება მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების I ეტაპი, შემდგომ კიდევ დაიგეგმება რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი ან შეხვედრები უძლიერეს გუნდებთან.

● *თბილისელთაგან ვინ შედის საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში?*

— ოთხი ხელბურთელი: აბაიშვილი, ცერცვაძე, ექსეულიძე და ფხაკაძე.

● *როდის გაემგზავრებით პოლონეთს და ვისთან ერთად იბრძოლებთ ბალტიის ზღვის თასისათვის?*

— აღნიშნული საერთაშორისო ტურნირი გაიმართება პოლონეთის საპორტო ქალაქ გდანსკში. მატჩები დაიწყება 19 ივლისს, ჩვენ კი ერთი დღით ადრე ავიღებთ გეზს ამ ქალაქისკენ. სავარაუდოა, რომ ჩვენი მეტოქეები იქნებიან რუმინეთის, გდრ-ის, დანიის, იუგოსლავიისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები. ამ ტურნირს ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგან მსოფლიო ჩემპიონატის ქვეჯგუფში სწორედ რუმინეთისა და გდრ-ის სპორტსმენებთან გვექნება საქმე. ასეთი საპასუხისმგებლო ასპარეზობის წინ მომავალ მეტოქეებთან ძალების გამოცდა ურიგო არ უნდა იყოს.

# ა. ტუტაკაევი — სსრ კავშირის ჩემპიონი

**მოსკოვი**, 12 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა უძლიერეს მოცურავე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი.

**ასპარეზობის ბოლო დღეს თავი ისახელა თბილისელმა ა. ტუტაკაევმა. 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში მან პირველად მოიხვეჭა ჩემპიონის ოქროს მედალი. მისი დროა — 2.29,8.** II ადგილზე გავიდა პოლტაველი ე. მიხაილოვი — 2.32,0, ხოლო III—ამ დისტანციაზე ევროპის რეკორდსმენი ლვოველი გ. პროკოპენკო — 2.32,5.

ამ დღეს 3 საკავშირო რეკორდი დაამყარეს მოსკოველმა მოცურავეებმა: ლ. ილიჩოვმა 200 მ თავისუფალი სტილით 1.58,4-ში გაცურა და თავისივე წინდღით დამყარებული რეკორდი 0,5 წამით გააუმჯობესა; 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ა. დუნაევმა აჩვენა 4.50,2, რაც აგრეთვე ჰ. ჰეტცის (გფრ) ევროპული რეკორდის გამეორებაა; 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვას ვ. კუზმინმა 59,8 წამი მოანდომა.

400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში კვლავ ძველი მეტოქეები ა. პლეტნიოვი და ევროპის რეკორდსმენი ს. ბელიცგეიმანი შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი ამჯერადაც პლეტნიოვი იყო. მისი დროა 4.15,9. ეს პლეტნიოვის მეორე ოქროს მედალია ჩემპიონატში.

# გუშინ...

**თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე დაიწყო ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი ეროვნულ ნაკრებთა დონეზე. ამ დღეს მხოლოდ ერთი მატჩი შედგა. ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. ჩვენი რესპუბლიკის გუნდი ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში დამარცხდა — 1:3 (11:15, 16:14, 2:15, 11:15).**

**დღეს გაიმართება 2 მატჩი. ბულგარელები ხვდებიან იუგოსლაველებს, ხოლო საქართველოს გუნდი — ჰოლანდიის ნაკრებს.**

# საათი!

◆ **ოსლო**, 13 ივლისი. „ბიშლეტის" სტადიონზე შეკრებილმა 16-მა ათასმა მაყურებელმა ნახა ამ სეზონში მსოფლიოში ყველაზე სწრაფი რბენა 10-კილომეტრიან დისტანციაზე. იგი მოიგო მსოფლიო რეკორდის მფლობელმა, ავსტრალიელმა რ. კლარკმა — 27.54,0. მას მეტოქეობას უწევდნენ ტოკიოს ოლიმპიადის პრიზიორი მ. გამუდი (ტუნისი), გ. რულანტსი (ბელგია), ი. ჰაზე (გდრ).

◆ **ორიოლი**, 13 ივლისი. აქ დამთავრებულ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის პლანერისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე წარმატება მოიპოვეს პოლონელებმა ზ. კრულიკოვსკიმ (ღია კლასი), ფ. კემიკამ (სტანდარტი) და საბჭოთა სპორტსმენმა მ. აფრიკანოვამ (ღია კლასი).

◆ **მოსკოვი**, 13 ივლისი. **მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე დაშნით ბრძოლაში I ადგილი დაიკავა საბჭოთა სპორტსმენმა ა. ნიკანჩიკოვმა.**



დაბრუნება ბერბეტის მუინვარიდან. ფოტო ვ. წილაურისა.

# რომ ერთსულოვნება იყოს...

პატარა, ვიწრო ოთახი... ერთმანეთს მიჯრილი ოთხი მაგიდა. მთხოვნელები ფეხზე დგანან, ზოგი კართან იცდის იმიტომ, რომ ოთახში, როგორც იტყვიან, ნემსი არ ჩავარდება. ყველა თავისას კითხულობს, კამათობს, მოითხოვს.

აი, ასეთ სურათს შევესწარით სამტრედიის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარის გ. კალაძის კაბინეტში. თუმცა რატომ სპორტკავშირის თავმჯდომარის? ამ ათიოდე კვადრატულ მეტრს, თურმე, გ. კალაძესთან ერთად რაიონის სპორტსკოლის დირექტორი, „განთიადისა" და „სპარტაკის" რაისაბჭოების თავმჯდომარეებიც ინაწილებენ.

ასეთ პირობებში მუშაობა რომ იოლი არ არის, ამას კაბინეტის ოთხივე „მფლობელი" კარგად გრძნობს, მაგრამ საქმეს მაშინ ეშველება, როცა მათ სატკივარს სხვაც შენიშნავს და იგრძნობს, რამეთუ კაბინეტის გამონახვა სრულიადაც არ შეადგენს სპორტსკოლის დირექტორისა და სპორტსაზოგადოებების რაისაბჭოს. თავმჯდომარეთა მოვალეობას.

ამან ბევრად განაპირობა, რომ ამ საზოგადოებებში ყველაფერი რიგზე ვერ არის. განსაკუთრებით იგრძნობა სპორტული ბაზების სიმცირე. არა აქვთ ინვენტარი. რაიონში დანერგილი არ არის ზოგიერთი ისეთი მასობრივი სახეობა, რომელიც საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამაშია შეტანილი. ნაკლოვანებებზე ამჯერად მეტს არას ვიტყვით, რადგან ეს სატკივარი სპორტკავშირისა და ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების რაიონული საბჭოების თავმჯდომარეებისთვისაც კარგადაა ცნობილი. ამის შესახებ რაიონის ხელმძღვანელობამაც იცის და როგორც გვითხრეს, მდგომარეობის გამოსწორებისთვის სათანადო ღონისძიებაც დაუსახავთ.

ამ წერილით, პირველ ყოვლისა, უნდა გითხრათ, რომ მიუხედავად მუშაობის ასეთი მძიმე პირობებისა, სამტრედიელთა მიმართ ბევრი საქებარი სიტყვაც გვეთქმის. მათ გადაჭარბებით გაანაღდეს ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების შარშანდელი გეგმა. წლეულსაც ნაყოფიერად მუშაობენ. კოლექტივების უმეტესობაში დიდი ყურადღება ექცევა საწარმოო ტანვარჯიშს, რასაც საზოგადოებრივი მეთოდისტები ხელმძღვანელობენ. მოწინავეთა შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ სალოკომოტივო და სავაგონო დეპოები. ამ კოლექტივებში ჩამოყალიბებულია და გეგმიანად მუშაობს ფრენბურთის, ფეხბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭიდაობისა და სხვა სახეობათა სექციები, ხშირად ეწყობა ტურისტული ლაშქრობები.

„სპარტაკის" მიერ ჩამოყალიბებულ საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანების ჯანმრთელობის ჯგუფებში ასობით ადამიანი იკაჟებს ორგანიზმს. სისტემატურად ეწყობა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. განსაკუთრებით გამოირჩევა ის ჯგუფი, რომელსაც რაიონის ექიმი ვ. ტერელაძე ხელმძღვანელობს.

რამდენიმე კარგი კოლექტივი ჰყავს „განთიადსაც". მარტო ჩაის მექანიკურ ქარხანაში შარშან 83 თანრიგოსანი მომზადდა, მათ შორის 5 პირველი და 18 მეორეთანრიგოსანია. ქარხნის თანამშრომელთა უმეტესობა ჩაბმულია სპორტის ამა თუ იმ სახეობაში. საამქროებში რეგულარულად ტარდება საწარმოო ტანვარჯიში, რომელმაც არა მარტო ახალგაზრდები, არამედ უფროსებიც მიიზიდა. საზეინკლო ბრიგადის ბრიგადირმა ა. ძაგანიამ, ელექტროშემდუღებელმა ა. შენგელიამ და სხვებმა 40 წელს გადააბიჯეს, მაგრამ სპორტს მაინც არ თმობენ.

კარგად მუშაობენ ხის დამმუშავებელი კომბინატის, კულაშის საქსოვი ფაბრიკისა და სხვა ორგანიზაციების ფიზკულტურელები.

მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის თვალსაზრისით ვერ დავემდურებით „კოლმეურნის" რაისაბჭოს. მისი უნარიანი ხელმძღვანელობა კულაშის ორჯონიკიძის, იანეთის მახარაძის, ეწერის რუსთაველის, ილორის ლენინის სახელობის საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივების წარმატებებითაც დასტურდება.

სამტრედიის ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობის გაცნობამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ამ რაიონში მშრომელთა შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობა სწორ გზაზე დგას. საამისოდ საწარმოო ტანვარჯიშის გარდა კარგად იყნებენ ტურნირებს თევზჭერასა და ნადირობაში. მხოლოდ ერთი უნდა დავძინოთ: სპორტკავშირისა და ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებების რაიონული საბჭოების, ფიზკულტურული კოლექტივების ხელმძღვანელთა საქმიანობაში რომ ერთსულოვნება იყოს, უეჭველია, სამტრედიელები კიდევ უფრო გაგვახარებდნენ. სხვათა შორის, საერთო წარმატებაში დიდ როლს შეასრულებდა ისიც, რომ წესრიგში მოიყვანდნენ „ლოკომოტივის" სტადიონთან არსებულ აუზს და დაამთავრებდნენ დიდი ხნის წინათ დაწყებული დარბაზის მშენებლობას.

**თ. კოპალეიშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

# საქმეს კარგი პირი უჩანს

ჩხოროწყუს რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე კ. ყურაშვილი დიდხანს ვერსად მოვიხელთეთ. ბოლოს ერთმა იქაურმა მკვიდრმა გვითხრა:— კოტეს კაბინეტში ვერ იპოვით, უთუოდ სტადიონის მშენებლობაზე იქნებაო, მერე მეგზურობაც თავად შემოგვთავაზა და გაგვიძღვა. მდინარის პირას გადაშლილ ველზე მოუწყვიათ სტადიონი აქაურ სპორტის მოყვარულებს... მუშებს გალავანი აჰყავდათ. კ. ყურაშვილიც მათ შორის ტრიალებდა, ამოწმებდა მშენებელთა ნახელავს, ზოგს შენიშვნას აძლევდა, ზოგსაც უწონებდა მუყაითობას...

ბევრი რამ გაუკეთებიათ. ფეხბურთის მინდორზე უკვე შეიძლება თამაში, სტადიონის ერთ მხარეს საუცხოო ტრიბუნებია, საცაა გალავნისა და გასახდელი ოთახების მშენებლობაც დასრულდება.

როგორც ხედავთ, პირველი რიგის სამუშაოები მალე დამთავრდება და ახალ სარბიელს ფეხბურთელები დაიპყრობენ, — გატაცებით ლაპარაკობდა ჩხოროწყუელთა სპორტის თავკაცი. მერე სამერმისო გეგმებიც გაგვანდო. თუმცა სიტყვა „სამერმისო" შეიძლება არც კი იყოს მთლად სწორი, რადგან როცა ამას ამბობდა, ყურაშვილი უახლოეს მომავალს გულისხმობდა. სულ მალე აქ მოეწყობა კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორები, საფუძველი ჩაეყრება საცურაო აუზის მშენებლობასაც — მდინარე ხომ აქვეა და აუზის წყლით მომარაგება არ გაუჭირდებათ.

ჩხოროწყუელი სპორტის მოყვარულები დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის დღესასწაულისთვის მიიღებენ საკუთარ „ლუჟნიკს". ამ დიდი სპორტული კომპლექსის მშენებლობის დამთავრების შემდეგ რაიონის ახალგაზრდობას შესანიშნავი სარბიელი ექნება თავისი ნიჭისა და უნარის გამოსავლენად.

და ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ ჩხოროწყუში წლების მანძილზე არავის უფიქრია ამისთვის. ახლა, როცა ყინული დაიძრა, ამ სასიკეთო საქმეში რაიონულ სპორტკავშირს მხარში უდგანან პარტრაიკომი და რაიაღმასკომი.

ამ ბოლო ხანებში, — გვიამბობს კ. ყურაშვილი, — ჩვენს რაიონში დამკვიდრდა შესანიშნავი ტრადიცია — პარტრაიკომის ბიუროსა და რაიაღმასკომის სხდომებზე ხშირად იხილება ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საჭირბოროტო საკითხები. ეს დიდად გვეხმარება ადგილებზე ფიზკულტურული კოლექტივების განმტკიცებაში. საქმით დაინტერესებული არიან ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებიც. მაგალითად ავიღოთ, თუნდაც, სოფელ ლესიჭინეს საშუალო სკოლა, რომლის პარტიულმა ორგანიზაციამ იკისრა მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, რაც შეიძლება მოკლე დროში დააყენოს მაღალ დონეზე. ჩვენ ვესაუბრეთ პარტორგანიზაციის მდივანს ბ. ხორავას, რომელმაც გვიამბო როგორ განმტკიცდა ფიზკულტურული კოლექტივი და როგორ მიაღწიეს არსებული მარტივი სპორტული ბაზების მაქსიმალურად დატვირთვას. და რომ, ყოველივე ეს გაკეთდა ადგილობრივი აქტივისტების, სკოლის ხელმძღვანელობისა და მოსწავლეთა შეთანხმებული მუშაობით, სპორტის სიყვარულით.

ჩხოროწყუს სასოფლო ფიზკულტურულ კოლექტივებში წლების მანძილზე არ ჰყავდათ მეთოდისტები და აი, ახლახან ეს საკითხიც რაიონის სპორტის მოყვარულთა სასარგებლოდ გადაწყდა. ეჭვი არ არის, ამ ღონისძიების გატარება კარგ შედეგს გამოიღებს: უფრო სისხლსავსე გახდება სპორტული საქმიანობა სოფლად.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო დეპუტატთა კომისიებისა და სპორტკავშირის საბჭოს ერთობლივმა მუშაობამ. აქ მთელი სერიოზულობით ეკიდებიან მნიშვნელოვან ფიზკულტურულ ღონისძიებათა ჩატარების საქმეს.

მუშაობაში სასოფლო საბჭოების უმრავლესობაა ჩაბმული. შექმნილია საგანგებო საორგანიზაციო კომიტეტები. ხაბუმეში, მაგალითად, ამ კომიტეტს აქაური სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ვ. კვირტია ხელმძღვანელობს. მას ადრევე დაუჭერია მომავალი სპარტაკიადისთვის მზადების თადარიგი. თავად უწევს კონტროლს გუნდების მეცადინეობას. სასოფლო საბჭოს შემოკრებილი ჰყავს სოფლის ფიზკულტურული აქტივი — ფიზაღზრდის მასწავლებლები, მოწინავე სპორტსმენები, მეთოდისტები...

ეს ყოველივე როდი ნიშნავს, რომ ჩხოროწყუელები უნაკლოდ მუშაობენ. არა, მაგრამ მთავარი მათი მონდომება და საქმის სიყვარული გახლავთ. მთავარია, რომ ისინი ამ საკითხზე სერიოზულად დაფიქრებულან. ამ მხრივ ჩხოროწყუელ ფიზკულტურელთა მაგალითი მისაბაძია. გამარჯვება ვუსურვოთ მათ.

**ჯ. ენუქიძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).
ჩხოროწყუ — თბილისი.

# [illegible]

## ◆ ლაგოდეხი

აქ დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ჭადრაკში, ფრენბურთში, ველოსპორტში და ფეხბურთში. ასპარეზობანი ორგანიზებულად ჩატარდა და კოლმეურნე-სპორტსმენებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

**ა. ჩუთლაშვილი,**
„კოლმეურნის" ლაგოდეხის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

## ◆ ლენინგორი

ადგილობრივ სტადიონზე გაიმართა ფინალური მატჩი ფეხბურთში სამხრეთ ოსეთის „კოლმეურნის" საოლქო საბჭოს თასზე. ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგორის სოფელ ბოლისა და ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენის ფეხბურთელები. გაიმარჯვეს ბოლელებმა (2:1).

**ა. მარგიევი.**

## ◆ გულრიფში

დრანდის პიონერთა ბანაკის ეზოში მთელ დღეს არ ცხრება ბავშვების ჟრიამული. აქ ისვენებს 256 პიონერი, მათგან 130 ტაშკენტელია. უზბეკ პიონერებს მასპინძლები გულღიად და სტუმართმოყვრულად შეხვდნენ. პიონერები ხშირად ატარებენ შეჯიბრებებს ფეხბურთში და კალათბურთში, ეწყობა ტურისტული ლაშქრობანი.

**შ. ჯალაღონია.**

## ◆ ზუგდიდი

რაიონის ცენტრიდან 15 კილომეტრის დაშორებით მოეწყო ჭკადუაშის პიონერთა ბანაკი, სადაც „ენგურქაღალდკომბინატის" მუშა-მოსამსახურეთა ბავშვები ისვენებენ. ბანაკში შეიქმნა სპორტული ჯგუფები ნორჩ ფეხბურთელთათვის, ფრენბურთელთათვის და მაგიდის ჩოგბურთელებისთვის.

**გ. ალშიბაია.**

# წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **ჭიდაობაში** — დ. ლაპიაშვილს (თბილისი); **კლდეზე ცოცვაში** — ნ. ქადეიშვილს, მ. უთმელიძეს, ნ. კანკავას (სამივენი — თბილისი); **რეგბიში** — გ. ჩეჩელაშვილს (თბილისი); **ტყვიის სროლაში** — მ. ეგანოვს (ბათუმი).

* * *

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **ძალოსნობაში** — გ. გაბეშიას (თბილისის „ბურევესტნიკი"); **ცურვაში** — ი. კირდიანოვს (თბილისის „დინამო"); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ჯ. თედეევს (თბილისის „განთიადი"); **კლასიკურ ჭიდაობაში** — ე. გოცირიძეს, ვ. სალნიკოვს, ი. ბროლიძეს (სამივენი — თბილისის „განთიადი"); **სამბოში** — ჩ. ჰინჭარაულს (თბილისის „დინამო"), ი. ქუცნიაშვილს (გარდაბნის „დინამო"); **ტყვიის სროლაში** — ს. კუდრიავცევას, ა. დიღმელაშვილს (ორივენი — თბილისის ასკ); **სასტენდო სროლაში** — დ. როინიშვილს, შ. ნაჭყებიას (ორივენი — ქუთაისის „სპარტაკი"); **ფრენბურთში** — რ. მალახიევს, ზ. ჯიოევს (ორივენი — თბილისის „ბურევესტნიკი").

ყარაგანდაში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობის ზონალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში კარგად გამოვიდა თბილისის „დინამოს" წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი ტაბუევი, რომელმაც მძიმე წონის ათლეტთა შორის II საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. ამ შედეგმა ტაბუევს საკავშირო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება მისცა.



სურათზე: მძიმეწონოსანთა ტურნირის გადამწყვეტი შეხვედრა ტაბუევსა (მარცხნივ) და უკრაინის ჩემპიონ ზელენსკის შორის. გაიმარჯვა თბილისელმა ათლეტმა.

ფოტო ბ. მურთაზოვისა.

# დახმარებას საჭიროებენ

ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივში 150-მდე ჭაბუკი და ქალიშვილია გაერთიანებული, მაგრამ სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა აქ ხუსტადაა დაყენებული. ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს ტ. ურჯუმელაშვილი ხელმძღვანელობს. მას ვერ ვუსაყვედურებთ, რაც მის ძალებს არ აღემატება, აკეთებს, მაგრამ სპეციალისტის გარეშე მუშაობის სათანადოდ გაშლა უჭირს.

ამ გარემოებამ სერიოზულად ჩააფიქრა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ქ. ნადირაძე და მან ეს საკითხი მსჯელობის საგნად გახადა. სექციებისადმი ხელმძღვანელობა სპორტული საქმიანობის აღმავლობისთვის დაინტერესებულ აქტივისტებს დაევალათ და ამის შემდეგ მუშაობა ერთგვარად გამოცოცხლდა: დაკომპლექტდა მეურნეობის ფეხბურთელთა ნაკრები, სპორტის რამდენიმე სახეობაში გაიმართა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებანი, პროფკომიტეტის თავმჯდომარის მ. ბოლოთაშვილის ინიციატივით შეძენილ იქნა 150 მანეთის სპორტული ინვენტარი და სხვ.

ვარიანელ ახალგაზრდებს ყველა პირობა გააჩნიათ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაფართოებისთვის, მაგრამ ესაჭიროებათ გამოცდილი მეთოდისტი, რომელიც მათ თავკაცად მოევლინებოდა და სპორტული მაჩვენებლების დონის ამაღლებაში დაეხმარებოდა. დროა, საბჭოთა მეურნეობის დირექციამ ეს საკითხიც მოაგვაროს.

**ი. თევდორაშვილი.**
(საკ. კორ.).

# VIII მსოფლიო ჩემპიონატი

ENGLAND 1966 ფეხბურთი VIII ინგლისი



# 3:0 — დასაწყისი ასეთია

მიდლსბრო, 12 ივლისი (საქდე-სის სპეც. კორესპონდენტები ნ. კისელიოვი და ვ. ჩუკსეევი). მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მონაწილეს შორის საბჭოთა ნაკრები აქამდე არ იცნობდა მხოლოდ 8 მოწინაალმდეგეს: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მექსიკისა და პორტუგალიის გუნდებს. და აი, კენჭისყრამ ჩვენი გუნდი პირველივე მატჩში შეახვედრა კორეელ ფეხბურთელებს. ამ „კორეულ გამოცანაზე“ ბევრს წერდა პრესა, სპეციალისტები გამოთქვამდნენ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს. და აი, რებუსი ამოხსნილია. აქტივში ჩაიწერა პირველი 2 ქულა.

„ერსომ-პარკის“ სტადიონზე საღამოთი, შესანიშნავ ამინდში დაიწყო ეს მატჩი, რომელიც მოწინააღმდეგეებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს: სსრ კავშირი — კავაზაშვილი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ოსტროვსკი, სიჭინავა, საბო, ჩისლენკო, ბანიშევსკი, მალოფეევი, ჰუსაინოვი; კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა — ლი ჩან მენი, პაკ რი სოპი, სინ ენ გიუ, იმ ჩუუნ სონი, კან ბონ ჩილი; პაკ სონ ჩჟინი, იმ სონ ხვი, ხან ბონ ჩჟინი, პაკ დუ იკი, კან რენ უნი, კიმ სონ ილი.

მატჩის დასაწყისი მეტისმეტად ნერვულ ვითარებაში მიმდინარეობდა და ამ პერიოდში უფრო გამოცდილმა საბჭოთა ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს რეალური უპირატესობისთვის მიეღწიათ ახალბედა მოწინააღმდეგეზე, რომელიც თავგანწირვით თამაშობდა. ჩვენ გაგონილი გვქონდა, რომ კორეელ ფეხბურთელებს შეუძლიათ ითამაშონ დიდ სისწრაფეზე და ხშირად გამოიყენონ ელვისებური კონტრიერიშები. ყველაფერი ეს სინამდვილესთან ახლოს აღმოჩნდა. ცენტრალური თავდამსხმელი პაკ დუ იკი და მარჯვენა გარემარბი ხან ბონ ჩჟინი მძიმე მდგომარეობაში აყენებდნენ ჩვენს მცველებს და მხოლოდ ჩილის ჩემპიონატის მონაწილის, კიეველი ოსტროვსკის დიდმა გამოცდილებამ უშველა გუნდს ეხსნა კარი დაცვის მარცხენა ფლანგზე.

პირველ ხანებში საბჭოთა გუნდის თავდამსხმელებს არ გამოსდიოდათ შეტევის დამთავრება. კიდევ მეტიც. იყო შემთხვევები, როცა კორეელებმა ორჯერ კარგად გაითამაშეს საჯარიმო დარტყმა და ორივეჯერ ჩვენი გუნდი გადარჩა აშკარა ხიფათს.

გარდატეხა დადგა 31-ე წუთზე, როცა მალოფეევმა კარგად გამოიყენა ბანიშევსკის მიერ მარჯვენა მხრიდან მოწოდებული ბურთი და გაიტანა გოლი — 1:0.

განვლო მხოლოდ 115 წამმა და ახლა თვით ბანიშევსკიმ გაგზავნა ბურთი თავით ბადეში. ეს გოლი იმავე მარჯვენა ფრთიდან კარგად გათამაშებული საჯარიმო დარტყმის შედეგი იყო. მაშინვე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: საბჭოთა გუნდის უპირატესობა ნათელი შეიქნა.

როცა თამაშის დასასრულს 2 წუთი აკლდა, მალოფეევმა მიიღო ბურთი მკერდზე, შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე და მშვიდად, ეფექტურად გაიტანა მესამე გოლი — 3:0.

● დიდ ინტერესს იწვევდა ბრაზილიისა და ბულგარეთის გუნდების შეხვედრა ლივერპულის სტადიონ „ევერტონზე“. ბრაზილიელებმა მატჩი შეტევით დაიწყეს. მე-14 წუთზე ბულგარელმა მცველებმა თავიანთი საჯარიმო მოედნის ახლოს მოცელეს პელე. საჯარიმო დარტყმა შეასრულა თვით პელემ და შესარულა ოსტატურად — ანგარიში გახსნილ იქნა.

მეორე ბურთი ბრაზილიელებმა აგრეთვე საჯარიმო დარტყმიდან გაიტანეს. ეს მოხდა II ტაიმის მე-18 წუთზე. გარინჩას მიერ უძლიერესი დარტყმით გაგზავნილი ბურთი მაღალ კუთხეში ვერ აიღო მეკარე ნაიდენოვმა, თუმცა მან ამ დღეს საუკეთესო თამაში აჩვენა — 2:0.

● VIII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის პირველი ბურთი გაიტანა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების თავდამსხმელმა ჰელდმა. ამ მატჩში გფრ-ის ნაკრებმა გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა თავისი მეტოქე — შვეიცარიის გუნდი. ანგარიში, როგორც ვთქვით, გახსნა ჰელდმა, შემდეგ ჰალერმა გაიტანა მეორე ბურთი, ხოლო ტაიმის დასასრულს ანგარიში გახდა 3:0 გერმანელთა სასარგებლოდ. ბურთის ავტორი იყო ბეკენბაუერი.

მეორე ტაიმში იმავე ბეკენბაუერმა და ჰალერმა საბოლოოდ დაასრულეს თავიანთი გუნდის გამარჯვების საქმე — 5:0.



* * *

სურათზე: ეს-ეს არის ბრაზილიელთა განთქმულმა ცენტრფორვარდმა პელემ გაიტანა პირველი ბურთი ბულგარეთის ნაკრების კარში. ბრაზილიელი ფეხბურთელები არ მალავენ თავიანთ სიხარულს. პელე თანაგუნდელთა ალყაშია.



# მეტი ყურადღება ხელბურთს

თბილისში ერთ კვირას გაგრძელდა საქართველოს ხელბურთელთა წლევანდელი ჩემპიონატი. შეჯიბრების რეგლამენტით, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა ტურნირში, მონაწილეობა უნდა მიეღო 8-8 გუნდს. ვაჟთა ასპარეზობაში რვიდან ერთი—თბილისის ჭაბუკთა ნაკრები უკონკურსოდ გამოვიდა, იმიტომ, რომ გორის სპორტულმა ორგანიზაციამ ჩემპიონატზე გუნდი არ გამოგზავნა. ქალთა შეჯიბრებაში შვიდმა კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა, მათგან „განთიადის“ გოგონათა ნაკრებმა უკონკურსოდ. გუნდები არ გამოგზავნეს გორმა და ფოთმა. ვთქვათ, გორში ხელბურთს პატივს არ სცემენ, ფოთელებს რაღა მოუვიდათ? იქ დიდი პოპულარობით სარგებლობს ეს სახეობა. ფოთის სპორტული ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ეს გარემოება შემდეგნაირად ახსნა: ჩვენი გუნდის წევრების უმეტესობამ საშუალო სკოლა წლეულს დაამთავრა, გოგონები უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებიან და მშობლებმა არ გამოუშვეს. საოცარი განცხადებაა. მაშ, სხვა გუნდების წარმომადგენლებმა რაღა ქნან, გამოცდებისთვის ხომ მათგანაც ბევრი ემზადება?

ახლა თვით ასპარეზობის შესახებ. როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდები თავდაპირველად 2-2 ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილი. შეჯიბრების დებულებით, თვითეულ ქვეჯგუფში ორ-ორი გამარჯვებული ფინალურ ოთხეულს ქმნიდა და ბრძოლას აგრძელებდა.

ვაჟთა I ქვეჯგუფიდან ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს თბილისის „ბურევესტნიკის“ II გუნდმა და აჭარის ნაკრებმა. თბილისელები ფინალში აჭარის გუნდთან მოგებით (38:26) გავიდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩემპიონატის უკონკურსოდ მონაწილემ — თბილისის ჭაბუკთა ნაკრებმა, „ბურევესტნიკის“ II ნაკრების მსგავსად, 5 ქულა დააგროვა და აჭარის გუნდი 3 ქულით ჩამოიტოვა. ამ უკანასკნელმა ქვეჯგუფში მხოლოდ აფხაზეთის ნაკრების დამარცხება შეძლო (30:29). II ქვეჯგუფიდან ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს თბილისის „ბურევესტნიკის“ I გუნდმა და ქუთაისელმა ხელბურთელებმა. ქუთაისელებმა თბილისელებთან წააგეს — 31:39.

ფინალურ ოთხეულში ასპარეზობისას თბილისის „ბურევესტნიკის“ I გუნდმა დაამარცხა აჭარის ნაკრები — 41:20, ხოლო თბილისის „ბურევესტნიკის“ II ნაკრებმა — ქუთაისელი ხელბურთელები — 33:17. და აი, ბურევესტნიკელები ერთმანეთის პირისპირ დარჩნენ. ამ მატჩის შედეგს უნდა გადაეწყვიტა, თუ ვინ გახდებოდა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი. ახალგაზრდა ხელბურთელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ოსტატებს და მხოლოდ 3 ბურთის სხვაობით წააგეს — 24:27 (12:15).

ამრიგად, საქართველოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა თბილისის „ბურევესტნიკის“ I გუნდმა, II ადგილზეა თბილისის „ბურევესტნიკის“ II გუნდი, III ადგილი ხვდათ ქუთაისელ ხელბურთელებს, რომლებმაც აჭარის ნაკრებს მოუგეს — 29:16.

ქალთა ტურნირის I ქვეჯგუფიდან ფინალში თბილისის „ბურევესტნიკი“ და ქუთაისის გუნდი გავიდნენ. II ქვეჯგუფიდან ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს თბილისის „განთიადმა“ და აჭარის ნაკრებმა. თბილისელებმა აჭარის გუნდი დაამარცხეს გამანადგურებელი ანგარიშით — 23:5! აღსანიშნავია ისიც, რომ შეჯიბრების უკონკურსო მონაწილემ — „განთიადის“ გოგონათა ნაკრებმა ისევე, როგორც აჭარის გუნდმა, 3 ქულა დააგროვა. ამ კოლექტივების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 7:7. ქვეჯგუფის მეოთხე მონაწილემ — აფხაზეთის ნაკრებმა ყველა შეხვედრაში დამარცხება იწვნია.

განთიადელებმა ფინალშიც იმარჯვეს — ორივე შეხვედრა მოიგეს (თბილისის „ბურევესტნიკთან“ — 11:6, ქუთაისელებთან — 18:6) და საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვეს. II ადგილს დასჯერდა თბილისის „ბურევესტნიკი“, ხოლო III — ქუთაისის გუნდი.

მაშ ასე, ხელბურთელთა რესპუბლიკური ფორუმი დამთავრდა. ტურნირზე გამოჩნდა, რომ მოთამაშეთა ერთ ნაწილს სპორტული ოსტატობა აუმაღლებია. როგორც მაყურებლებმა და სპეციალისტებმა შენიშნეს, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისსა და თბილისში არიან ახალგაზრდა ხელბურთელები, რომლებიც სერიოზული მუშაობის შემდეგ შეძლებენ ოსტატებსაც გაუწიონ მეტოქეობა. ამ მხრივ თბილისში უკეთაა საქმე. „ბურევესტნიკის“ აქაურ II ნაკრებს, რომელიც მთლიანად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული, თამამად შეუძლია გამოცდილ კოლექტივებთან თანაბარი ბრძოლა საკავშირო შეჯიბრებებშიც კი. ამას ვერ ვიტყვით აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და ფოთის კოლექტივებზე. ამ გუნდებში ნიჭიერი ახალგაზრდობაა გაერთიანებული, მაგრამ წარმატებისთვის ეს არაა საკმარისი. ადგილობრივმა სპორტულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ახალგაზრდა სპორტსმენებს (ადგილებზე ხშირად უნდა ტარდებოდეს შეჯიბრებები, გუნდებისთვის აუცილებელია ნორმალური პირობები სავარჯიშოდ და რაც მთავარია, კვალიფიციურ მწვრთნელთა ხელი). აფხაზეთის ხელბურთელთა მწვრთნელთან — ა. კოპალიანთან საუბრისას გაირკვა, რომ იგი ავარჯიშებს როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებს. კოპალიანმა გულისტკივილი გაგვიზიარა, გვითხრა, რომ წლეულს არ გამართულა აფხაზეთის ჩემპიონატი ხელბურთში, არ ტარდება მოსწავლე ხელბურთელთა შეჯიბრებები. ჩანს, აფხაზეთის სპორტული ორგანიზაციები მაინცდამაინც დაინტერესებული არ არიან ამ ლამაზი, ემოციური სახეობის განვითარებით. ბათუმელ მწვრთნელ ბ. ფირცხალაიშვილთან საუბრით დავრწმუნდით, რომ აჭარაში ხელბურთის განვითარებისთვის მხოლოდ „განთიადი“ და ბავშვთა სპორტსკოლა ზრუნავენ. „დინამო“, „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“ და „კოლმეურნე“ კი არც პირველობებს ატარებენ, არც ჯგუფები დაუარსებიათ. მეტად დაბალია აჭარის ხელბურთელ გოგონათა და ქალთა გუნდების მომზადების დონე.

ორიოდე სიტყვა მსაჯობის შესახებაც. როგორც წესი, ხელბურთელთა მატჩს 3 მსაჯი უნდა ემსახურებოდეს (ერთი მოედანზე და ორიც კართან), არბიტრებს უნდა ეცვათ სპეციალური ფორმა (პერანგი, მოკლე შარვალი და კედები). ამ საყოველთაო ჭეშმარიტებაზე სიტყვა იმიტომ ჩამოვაგდეთ, რომ ბოლო ხანებში ჩვენი მსაჯები სათანადო სპორტული ტანსაცმლით მხოლოდ სპორტის სასახლეში გამართულ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე ცხადდებიან. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლეს შემთხვევაში მატჩს მხოლოდ ერთი არბიტრი სჯის. ასე იყო აღნიშნულ რესპუბლიკურ ჩემპიონატშიც. გავახსენებთ ჩვენს მსაჯებს: წესი წესია და მას ყველგან ერთნაირად უნდა ვასრულებდეთ.

გ. გოძიაშვილი.

* * *

სურათზე: თბილისის ბურევესტნიკელთა შეხვედრის მომენტი. ახალგაზრდული გუნდის წევრი ხინჩიკაშვილი უტევს საქართველოს უძლიერესი კოლექტივის კარს.

ფოტო ი. იუნაევისა.



# გულშემატკივრები...

ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა-ს) კონგრესზე განაცხადა, რომ ფიფა-ს ალმების ქვეშ გაერთიანებულია 130 ქვეყანა — უფრო მეტი, ვიდრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და, რომ მას ეს ფაქტი სიმბოლურად მიაჩნია. მართლაც, ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ამჟამად ბრიტანეთის კუნძულზე ტარდება, წარმომადგენლობით ყველაზე მრავალფეროვანი სპორტული ღონისძიებაა. მას ესწრება მსოფლიოს ხუთივე მატერიკის 110 ქვეყნის გულშემატკივარი.

ინგლისის ჩემპიონატისადმი ყველაზე დიდი ინტერესი გფრ-ის ფეხბურთის მოყვარულებმა გამოიჩინეს. ბრიტანეთის კუნძულზე ამ ქვეყნის 5.590 წარმომადგენელი იმყოფება. დასავლეთ გერმანიის ნაკრების ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ ამ საგულისხმო ფაქტს თავისი გამართლება აქვს. „გფრ-ის ნაკრები, — ერთხმად აცხადებენ ისინი, — სპეციალისტებს ფავორიტთა შორის არ ჰყავთ დასახელებული, გერმანელ ხალხს კი სჯერა და სწამს თავისი გუნდისა“. მათი აზრით, არ არის გამორიცხული 1954 წლის ტრიუმფის გამეორება, რადგან მაშინაც, შვეიცარიაში, დასავლეთ გერმანიას გულშემატკივართა ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდა.

წარმომადგენლობის მხრივ II ადგილზეა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის სამშობლო—ბრაზილია. მისი „ინგლისური დესანტი“ 5.485 (შეიარაღებული საყვირებით, სატკაცუნებლებით, ალმებით და სხვ.) გულშემატკივრით განისაზღვრება. როგორც ბრაზილიის დელეგაციის ხელმძღვანელები ამბობენ, ამ რიცხვს მსოფლიო ჩემპიონის სამშობლო ერთი-ორად გადააჭარბებდა, ზღაპრულად ძვირი რომ არ ღირდეს თვითმფრინავისა და გემის ბილეთი.

III „საპრიზო ადგილზე“ არიან ფრანგები, რომლებსაც თავიანთი გუნდის დიდი იმედი მაინცდამაინც არა აქვთ, მაგრამ გულში შვეციის წარმატების გამეორებას იმედოვნებენ როგორც ცნობილი გახდა, ფრანგებს მსოფლიო ჩემპიონატისადმი ინტერესი მოსკოვის მატჩის შემდეგ გაეღვიძათ, როდესაც ამ ქვეყნის ნაკრებმა სსრ კავშირის გუნდთან დაძაბულ ორთაბრძოლაში საპატიო ფრეს მიაღწია. დღეს ფრანგების „ლეგიონი“ ლონდონის „უემბლიზე“ 2.560 გულშემატკივარს ითვლის.

იტალიელები ფრანგებს მხოლოდ 25 კაცით ჩამორჩებიან და ფეხბურთის მოყვარულთა ამ თავისებურ კონკურსში IV ადგილზე იმყოფებიან. მაგრამ, როგორც იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ე. ფაბრიმ განაცხადა, 2.535 იტალიელი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ თავისუფლად იქნეს „აღებული“ თვით „უემბლის“ სტადიონი. „ოფიციალური მონაცემებით“ 1 იტალიელი „ტიფოზი“ აქტიურობითა და ტემპერამენტით სხვა ქვეყნის დაახლოებით 10-15 გულშემატკივარს უდრის.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

# ოდესაში — 0:2

ოდესა. „ჩერნომორეცის“ სტადიონი. 13 ივლისი.

„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:0 (1:0).

„ჩერნომორეცი“: იარჩუკი, ცუნინი, ნაიდა, არხიპენკო, სირომიატნიკოვი, მოსკალენკო. დერიაბინი, ბაზილევიჩი (მიროშინი), ბოკატოვი, ლობანოვსკი, საკი.

„ტორპედო“: კვასხვაძე (ანდღულაძე), ლოსაბერიძე, წვერავა, ებრალიძე (სიამაშვილი), ძოძუაშვილი, კუტივაძე, ზარია, ვეკუა, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, ჭითანავა.

მსაჯი ს. არხიპოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:1.

ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მეტად აქტიურად დაიწყეს თამაში, ჯერ ხაჟალიამ ვერ გამოიყენა ზარიას გადაცემა, შემდეგ ჭითანავა გავიდა ფლანგზე და მიაწოდა ცენტრში, მაგრამ ბურთს იქ არავინ დახვდა.

„ტორპედო“ კარგა ხანს უტევდა მოწინააღმდეგეს, გოლი კი ბაზილევიჩმა გაიტანა თავისი მოულოდნელი გარღვევის შემდეგ 37-ე წუთზე — 1:0.

მეორე ტაიმში ინიციატივამ „ჩერნომორეცის“ მხარეს გადაინაცვლა. მოსკალენკომ ვერ შეძლო ტორპედოელთა კარში დანიშნული პენალტის გამოყენება, რის შემდეგ ლობანოვსკიმ გოლით დაამთავრა თავისი გუნდის ერთ-ერთი იერიში — 2:0. დარჩენილ დროში უტევდნენ კვლავ სტუმრები, მაგრამ უშედეგოდ.

**„ა“ კლასი I ჯგუფი**

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 14 | 9 | 5 | 0 | 29—4 | 23 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 15 | 8 | 5 | 2 | 22—11 | 21 |
| ცსკა | 16 | 7 | 6 | 3 | 31—21 | 20 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 15 | 5 | 10 | 0 | 17—11 | 20 |
| ასკ (როსტოვი) | 15 | 9 | 1 | 5 | 27—26 | 19 |
| „დინამო“ (თბილისი) | 15 | 6 | 5 | 4 | 17—10 | 17 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 15 | 6 | 5 | 4 | 23—17 | 17 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 15 | 7 | 2 | 6 | 16—18 | 16 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 16 | 7 | 2 | 7 | 22—26 | 16 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 15 | 5 | 5 | 5 | 20—13 | 15 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 15 | 6 | 3 | 6 | 22—18 | 15 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 17 | 6 | 3 | 8 | 23—29 | 15 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 16 | 4 | 6 | 6 | 15—17 | 14 |
| „არარატი“ (ერევანი) | 15 | 5 | 4 | 6 | 14—22 | 14 |
| „დინამო“ (მინსკი) | 15 | 4 | 5 | 6 | 14—20 | 13 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 15 | 4 | 3 | 8 | 14—21 | 11 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 16 | 2 | 6 | 8 | 12—27 | 10 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 15 | 3 | 1 | 11 | 13—26 | 7 |
| ასკ (ოდესა) | 15 | 1 | 5 | 9 | 8—22 | 7 |

• • •

**მოსკოვი.** აქ შედგა სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ცსკა — „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი). შეხვედრა დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით — 3:1.

**„ბ“ კლასი IV ზონა**

გუშინ გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. აი, რას გვატყობინებენ ჩვენი კორესპონდენტები ადგილებიდან:

**● ტყიბულიდან...**

4:4— ეს საკმაოდ უჩვეულო ანგარიშია „ბ“ კლასის ოსტატთა გუნდებისთვისაც. როცა ტყიბულის „მეშახტის“ თავდამსხმელმა ფირცხალავამ მე-5 წუთზე პირველი ბურთი გაგზავნა სოხუმის „დინამოს“ კარში, ხოლო სულ მალე თოლორაიამ ანგარიში 2:0-მდე აიყვანა, მატჩის ბედი, თითქოს, გადაწყვეტილი იყო.

მაგრამ სოხუმელებმა არ დაყარეს ფარ-ხმალი. მე-17 წუთზე ზარდანიამ ფიფიას გადაცემიდან გაქვითა ერთი გოლი, ხოლო მე-40 წუთზე გაბელიამ აღადგინა წონასწორობა — 2:2.

ტაიმის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, როცა მელიქიძე—თოლორაიას კომბინაცია გოლით დაამთავრა ამ უკანასკნელმა და „მეშახტე“ ისევ წინ გავიდა — 3:2.

დაიწყო მეორე ტაიმი და იმავე გაბელიამ კვლავ გაათანაბრა ანგარიში — 3:3. არც ამის შემდეგ შეწყდარა ორმხრივი იერიშები. 27-ე წუთზე ფირცხალავამ თოლორაიას გადაცემიდან კიდევ ერთხელ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში და როცა ტყიბულელთა გამარჯვება თითქოს განაღდებული იყო, ზარდანიამ 87-ე წუთზე საბოლოოდ დაუსვა წერტილი მატჩის შედეგს — 4:4.

**ზ. ჯორჯაძე.**

**● რუსთავიდან...**

რუსთავის „მეტალურგი“ და ფოთის „კოლხიდა“ ჩვენი რესპუბლიკის გუნდებიდან ყველაზე წინ არიან ზონის გათამაშების ცხრილში. სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს გუშინ რუსთავში.

დასაწყისში საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ მასპინძლებს. იყო მომენტი, როცა „კოლხიდის“ დაცვამ ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი, მძიმე დატვირთვის გადატანა მოუხდა მეკარე მარღანიას.

მეორე ტაიმში ფოთელებმა გამოასწორეს თამაში და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. მაინც, გოლი არ იქნა გატანილი — 0:0.

**რ. გაბრიჭიძე.**

**● გურჯაანიდან...**

„ალაზნის“ მეტოქე გუშინ იყო ზუგდიდის „ენგურის“ კოლექტივი. მატჩი მათ შორის მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში და დამთავრდა ალაზნელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0. ეს გოლი გაიტანა არუთინოვმა.



გორკში ახლახან დამთავრდა საბჭოთა კავშირის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა გენერალური რეპეტიცია. რომელიც ერთგვარი დათვალიერება იყო დორტმუნდის მსოფლიო ჩემპიონატის წინ. როგორც ყოველთვის ამ ბოლო ხანებში, ისე ამჯერადაც, ქალთა შორის ძირითადი ბრძოლა პირველობისათვის გაიმართა ლენინგრადელ ნ. კუჩინსკაიასა და მინსკელ ლ. პეტრიკს შორის. გაიმარჯვა ნ. კუჩინსკაიამ, რომელმაც მრავალჭიდში 77,65 ქულა დააგროვა. II ადგილზე დარჩა ლ. პეტრიკი — 76,45, ხოლო III ადგილზე გავიდა საბჭოთა ტანვარჯიშის ვეტერანი პ. ასტახოვა — 76,1.

სურათზე: ნ. კუჩინსკაია (მარცხნივ) და ლ. პეტრიკი.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

# პროტესტის ხმას უერთდებიან

სსრ კავშირის მძლეოსანთა და კალათბურთელთა ნაკრები გუნდების პროტესტი, რომელიც გმობს ამერიკელ იმპერიალისტთა ბარბაროსულ ომს ვიეტნამში, ყუმბარასავით გასკდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ქვეყნის პროგრესული ადამიანები, სპორტსმენები, მწვრთნელები სინანულით აღნიშნავენ, რომ „პენტაგონმა კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი ჩასწერა ამერიკელთა პრესტიჟის მატიანეში“.

მოუთმენლად ელოდნენ შტატებში სსრ კავშირის მძლეოსანთა სტუმრობას. ინტერესი ამ ტრადიციული მატჩისადმი ერთი-ორად იყო გაზრდილი იმის გამო, რომ შარშან ამერიკელებმა მწარე მარცხი განიცადეს ჩვენს ქვეყანაში. ამერიკული პრესის აღიარებით: „ასეთ გამანადგურებელ შედეგს ვაჟთა გუნდების ასპარეზობაში არ მოელოდნენ უკიდურესი სკეპტიკოსებიც კი. ამერიკელმა მძლეოსანმა ვაჟებმა შარშან არნახული მარცხი განიცადეს. ქალთა წაგებას ასე თუ ისე კიდევ ველოდდით, ვაჟთა „ფიასკო“ კი — წარმოუდგენელი სენსაცია იყო“.

ადვილი გასაგებია, თუ როგორ ინტერესს იწვევდა მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი შტატებში. სპორტსმენები და მწვრთნელები თვეების მანძილზე ემზადებოდნენ რევანშისთვის. სამწუხაროდ, იმპერიალისტთა მილიტარისტულმა პოლიტიკამ ერთი ხელის მოსმით ხაზი გადაუსვა იმას, რასაც ასე მოუთმენლად ელოდა სპორტული სამყარო.

გულახდილ აღშფოთებას გამოთქვამენ ამერიკელი კალათბურთელებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ პენტაგონს უფლება არა აქვს გაწყვიტოს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელთა დიდი ხნის ურყევი მეგობრობის ძაფები. „ჩვენ, ამერიკელებმა, — ამბობენ ისინი, — ბოლოსდაბოლოს ხმა უნდა ავიმაღლოთ იმ უსამართლობათა წინაშე, რასაც ჩვენი პოლიტიკოსები მიმართავენ“.

# მძლეოსნობისა და კალათბურთის საკავშირო ფედერაციებში

ჩვენი გაზეთის 13 ივლისის ნომერში დაბეჭდილი იყო ცნობა სსრ კავშირის წამყვანი მძლეოსნებისა და კალათბურთელების კრების თაობაზე, სადაც განხილულ იქნა საკითხი მათი მომავალი მგზავრობის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში. კრებამ, როგორც ცნობილია, მიიღო პროტესტის რეზოლუცია, რომელშიც სასტიკად გმობს ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიას ვიეტნამის მშვიდობისმოყვარე ხალხის მიმართ. კალათბურთელებმა და მძლეოსნებმა გადაწყვიტეს არ მიიღონ მონაწილეობა ამერიკელ სპორტსმენებთან მატჩებში.

ამის შემდეგ გაიმართა მძლეოსნობისა და კალათბურთის საკავშირო ფედერაციების პრეზიდიუმების სხდომა, რომელზეც განიხილეს ჩვენი ნაკრები გუნდების თხოვნა ამ საკითხზე. ფედერაციებმა გადაწყვიტეს დააკმაყოფილონ ნაკრები გუნდების მოთხოვნა და აღიარეს, რომ შეუძლებელია საბჭოთა სპორტსმენების გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**ჭადრაკი**

● სოჭი, 12 ივლისი. გუშინ აქ დამთავრდა ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ბოლო, XV ტურში კორჩნოიმ მოუგო ანტოშინს, პოლუგაევსკიმ — სერგიევსკის, სპასკიმ — ზახაროვს, ბობოცოვმა — ორტეგას, ლეინმა — ბარცას, ვლადიმიროვმა — ბრადვარევიჩს. მატულოვიჩი და კროგიუსი ყაიმზე შეთანხმდნენ (სხვათა შორის, კროგიუსი ტურნირის ერთადერთი მონაწილეა, რომელიც ჯერ არ დამარცხებულა). ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ბერტოკ — ფუქსის შეხვედრა. საბოლოოდ, სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: კორჩნოი — 11,5 ქულა, პოლუგაევსკი — 11, კროგიუსი და მატულოვიჩი (იუგოსლავია) — 10-10, სპასკი და ლეინი — 9,5-9,5, ანტოშინი — 9, ვლადიმიროვი — 8,5, სერგიევსკი — 8, ბობოცოვი (ბულგარეთი) — 7,5, ზახაროვი — 6,5, ფუქსი (გდრ) — 5,5, ბარცა (უნგრეთი) — 5, ბერტოკი (იუგოსლავია) — 4, ბრადვარევიჩი (იუგოსლავია) — 2,5, ორტეგა (კუბა) — 2.

● **ამსტერდამი**, 13 ივლისი. საჭადრაკო ფესტივალის VI ტურში ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბოტვინიკმა. მან მოუგო ჰოლანდიელ ზიუიდემას. ფლორმა დაამარცხა ვან სხელტინგა (ჰოლანდია), სილადიმ (უნგრეთი) — რობაჩი (ავსტრია), საბომ (უნგრეთი) — ბარენდრეგტი (ჰოლანდია). კუიპერს (ჰოლანდია) — პომარის (ესპანეთი) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ბოტვინიკის შემდეგ 4 ქულით II ადგილზეა პომარი, ხოლო III — ფლორი — 3,5.

● ბუდაპეშტი, 13 ივლისი. ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დამთავრებას 1 ტური აკლია, მაგრამ გამარჯვებული უკვე ცნობილია. ესაა სსრ კავშირის ჩემპიონი კოზლოვსკაია, რომელმაც XI ტურში კელერ-გერმანთან დამარცხების მიუხედავად 9,5 ქულა მოაგროვა და თავის უახლოეს მეტოქეებს 1,5 ქულით უსწრებს. 8-8 ქულა აქვთ ვერიოცის, პოლიქრონიადესა და კ. იოვანოვიჩს. 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს კელერ-გერმანმა და კარაკაშნემ.

# სენსაცია თუ კანონზომიერება?

უიმბლდონის ტრადიციულ ტურნირში ესპანელ მ. სანტანას გამარჯვებას მსოფლიოს სპორტული პრესა სხვადასხვაგვარად აფასებს. ჟურნალისტთა ნაწილს მიაჩნია, რომ ესპანელის „ბატონობას“ ჩოგბურთის კორტებზე დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია და ამიტომაც ავსტრალიურ-ამერიკული „კლასიციზმი“ სულ მალე აღდგება თავის უფლებებში. სპეციალისტთა დიდი უმრავლესობის აზრით კი, მანუელ სანტანას გამარჯვებით ჩოგბურთის ისტორიაში თითქოს ახალი ერა დაიწყო.

და აი, უიმბლდონის ტრიუმფატორს სულ მალე მოუხდა თავისი პოზიციის სიმყარის შემოწმება. „ახალი ერის“ ავტორმა კრახი განიცადა სკანდინავიის ქვეყნების ღია ჩემპიონატში სპორტსმენისაგან, რომელსაც ოფიციალურ კლასიფიკაციაში არც ერთ სკოლას არ აკუთვნებდნენ. მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონის მძლეველი აღმოჩნდა თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი ა. მეტრეველი.

ნიჭიერი ქართველი ჩოგბურთელის გამარჯვებამ ევროპაში, ავსტრალიასა და შეერთებულ შტატებში დიდი რეზონანსი გამოიწვია. „რა იყო ეს, — კითხულობენ სპეციალისტები, — სანტანას პოზიციის სიბლაგვე, თუ ახალი, ჯერ კიდევ ბოლომდე გაუხსნელი, მაგრამ უდაოდ პროგრესული სკოლის ზეიმი?“. „მეტრეველი, — წერს ოსლოს ერთ-ერთი გაზეთი, — მსოფლიო ჩოგბურთში უკვე აღიარებული ერთეულია, რომელსაც მხოლოდ უმნიშვნელო დახვეწა სჭირდება“. ამდენად გაზეთს მისი გამარჯვება ერთმნიშვნელოვნად კანონზომიერად მიაჩნია, შეძლებს თუ არა საბჭოთა ჩოგბურთელი ამ წარმატების განმტკიცებას, დიდად არის დამოკიდებული სპორტსმენის მომავალ გეგმებზე. მიმომხილველის აზრით, მეტრეველი რაც შეიძლება ხშირად უნდა შეხვდეს მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელებს და მაშინ მის ასეთ გამარჯვებებს, სენსაციათა რიცხვს არ მიაკუთვნებენ.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

11 უე 01974